გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ს/ს სარაჯიშვილის წესდებაში, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ 01.11.2023 წლის N:B 23153880/9 გადაწყვეტილებით, შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები

<u>მუხლი 1.</u>

მუხლი 1.15 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1.15. ამ წესდებით იცვლება ს/ს სარაჯიშვილის აქციონერთა 11.10.2023 წლის წლიური (მორიგი) საერთო კრების N49 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესდება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 01.11.2023 წლის N:B23153880/9 გადაწყვეტილებით.

<u>მუხლი 2.</u>

წესდების 3.4 მუხლიდან ამოღებული იქნას სიტყვები „აქციონერთა სერთიფიკატი ან".

<u>მუხლი 3.</u>

წესდებიდან ამოღებული იქნას მუხლი 6 და მისი პუნქტები დაემატოს 5.17 მუხლის შემდეგ 5.18-5.21 პუნქტებით.

<u>მუხლი 4.</u>

წესდების სათაურში „მუხლი 7" შეიცვალოს 6-ით და „მუხლი 6" ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 6. სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოები

6.1 სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოებია:

ა) აქციონერთა საერთო კრება;

ბ) სამეთვალყურეო საბჭო;

გ) ხელმძღვანელი ორგანო.

6.2 სააქციო საზოგადოების ორგანოები და მათი წევრები ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

<u>მუხლი 5.</u>

მუხლები 8-დან 13-ის ჩათვლით გადაინომროს 7-დან 12 ნომრების ჩათვლით და შესაბამისად გადაინომრონ ამ მუხლების პუნქტებიც.

<u>მუხლი 6.</u>

წესდების მუხლი 14-ის ნომერი შეიცვალოს მუხლი 13-ით და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

13.1 სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კონტროლს ხელმძღვანელი ორგანოს/ საქმიანობაზე და თანამშრომლობს მასთან სააქციო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის პროცესში.

13.2 სამეთვალყურეო საბჭო შედგება 4 წევრისაგან. წევრთა რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

13.3 სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი.

მუხლი 14-ის, 14.5-14.10 პუნქტები გადაინომროს მუხლი 13-ის 13.4-13.9 პუნქტებად.

<u>მუხლი 7.</u>

წესდების მუხლები მე-15-დან მე-18-ის ჩათვლით გადაინომროს მე-14-დან მე17-ის ჩათვლით და შესაბამისად გადაინომროს ამ მუხლების პუნქტებიც.

<u>მუხლი 8.</u>

წესდების მუხლი 19-ის ნომერი და დასახელება შეიცვალოს სიტყვებით: მუხლი 18 „სააქციო საზოგადოების კომიტეტები" და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

18.1 სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია თავისი წევრებისგან შექმნას კომიტეტები, რომელთა მიზანი სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან ერთად, იქნება საბჭოს სხდომების მოწვევის ან მათზე განსახილველი საკითხების მომზადება და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

18.2 კომიტეტების ხელმძღვანელებმა სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად უნდა მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია.

18.3 კომიტეტების სახელწოდებები და რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს წესდებით.

18.4 სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები არ შეიძლება სრულად გადაეცეს კომიტეტებს.

<u>მუხლი 9.</u>

წესდების მუხლი 20-ის ნომერი შეიცვალოს 19-ით და შესაბამისად გადაინომროს ამ მუხლის პუნქტებიც. წესდების 19.4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

19.4 საზოგადოების ხელმძღვანელი პირი (გენერალური დირექტორი) უფლებამოსილია დააფუძნოს საზოგადოების ფილიალები, სააგენტოები, ერთობლივი და შვილობილი საწარმოები, სხვა იურიდიული პირები, განსაზღვროს წილობრივი მონაწილეობის საკითხები და დანიშნოს ჩამოთვლილი საწარმოების ხელმძღვანელები და ერთობლივი საწარმოების საზოგადოების მხრიდან დასანიშნი ხელმძღვანელები, ამ პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებზე გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ გადაწყვეტილების ასლები უნდა გადასცენ სამეთვალყურეო საბჭოს არაუგვიანეს მათი მიღებიდან 5 სამუშაო დღეში.

წესდების პუნქტები 20.5-დან 20.10-ის ჩათვლით გადაინომროს 19.5-დან 19.10-ის ჩათვლით.

<u>მუხლი 10.</u>

წესდების 21-ე მუხლიდან 25-ეს ჩათვლით გადაინომროს მუხლ 20-დან 24-ის ჩათვლით და შესაბამისად გადაინომროს ამ მუხლების პუნქტებიც. წესდების 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

მუხლი 23. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი.

23.1 საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, ანგარიშგებების მომზადება - წარდგენა და აუდიტი ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

23.2 აუდიტის განხორციელებაში სააქციო საზოგადოების აქციონერების, მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მონაწილეობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.

23.3 სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველო კანონის შესაბამისად ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისთვის.

<u>მუხლი 11</u>.

წესდების 26-ე მუხლი გადაინომროს 25-ე მუხლად და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

25.1 წესდების ეს ცვლილებები ამოქმედდეს ამ ცვლილებების გათვალისწინებით კონსოლიდირებული წესდების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრაციის თარიღიდან.

25.2 ამ წესდების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ 01.11.2023 წელს N:B23153880/9 გადაწყვეტილებით რეგისტრირებული წესდება.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე, სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარე ---------[signature]---------(ე.ბუბუტეიშვილი)